

**ყოველდღიური მსახურების მომხარეებში მონაწილეობენ:**

1. გიორგი მეტრეველი; 2. ნიკოლოზ ესიტაშვილი; 3. ნინო ბაკურაძე და 4. აკაკი ლიპარტელიანი.

**კოორდინატორი** და მოწოდებულ მასალაზე **პასუხიშემცემელი პირი:** ფილოლოგიისა და თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი – **ღმებანოზი ბიძინა გუნია.**

ა) ინფორმაცია ლიტურგიკულ საკითხებზე შეგიძლიათ მოიძიოთ საპატრიარქოს განათლების ცენტრის ვებ-გვერდზე – „ცნობარი მედავითნეებისთვის“ <http://venakhi.ge/medavitne.html>

ბ) კითხვები თქვენთვის საინტერესო ლიტურგიკულ საკითხებზე გამოგზავნეთ ელ-ფოსტაზე: [davati@venakhi.ge](mailto:davati@venakhi.ge) ან [svetitskhoveli@gmail.com](mailto:svetitskhoveli@gmail.com)

გ) პასუხები იხილეთ ზემოაღნიშნულ ვებ-გვერდზე ან „ფეისბუქზე“ - მამა ბიძინა გუნია. (იხ. „საპატრიარქოს უწყებანი“ №36 (695) 31.10.- 6.11.2013წ. გვ. 4.)

**2013 წელი 29 ოქტომბერი სულთმოფენობიდან მე-21 შვიდეული. 11 ნოემბერი**  
**ძველი სტილით ორშაბათი ახალი სტილით**

**ხსენება:**

ღირსისა მამისა ჩვენისა სერაპიონ ზარზმელისა (900); ღირსმოწამისა ანასტასია რომაელისა (III); ღირსისა აბრაამ დაყუდებულისა და ნეტარისა მარიამისა, ძმისწულისა მისისა (დაახ. 360); მოწამეთა: კლავდიოსისა, ასტერიოსისა, ნეონისა და დისა მათისა თეონილასი (285); ღირსისა ანასი (826).

(24-ე შვიდეულის სახარების საკითხავები).

**ლიტ. - ფილპ. 248 დას. IV, 10-23. ლკ. 59 დას. XI, 29-33. ღირ. - გალ. 213 დას. V, 22 - VI, 2. მთ. 43 დას. XI, 27-30.**

სადამოს მსახურება: **IX ჟამნი** – მწუხრის ჟამნი – სერობის ჟამნი  
დიღის მსახურება: შუადამის ჟამნი – **ცისკრის ჟამნი** – **I ჟამნი**  
დღის მსახურება: **III ჟამნი** – **VI ჟამნი** – **სადმართო ლიტურგია**

წლის ციკლის მსახურება აღესრულება – - საზიარო თვენიდან.  
კვირის ციკლის - - - - - პარაკლიტონიდან.  
სადღეღამისო ციკლის - - - - - ჟამნიდან.

**ღრთითი ინტერვალ:** საპასექო წლის მე – 2 პერიოდი.  
**ტიპიკონი:** შვიდეულის სადაგ დღეს „**დიდებამადლიანის**“ (III რანგის) მსახურება.  
**შენიშვნა:** სერობისა და შუადამის ჟამნები სამრევლო ტაძრებში არ აღესრულება.

## IX უამნი:

- **ტროპრები:** აღდგომისა (ხმა 3) და წმ. ნეოფიტე ურბნელისა.
- **კონდაკები:** აღდგომისა (ხმა 3).

## მწუხრის უამნი:

- „მოვედით თაყვანის - ვსცეთ“ - იკითხება.
- „აკურთხევს სული ჩემი უფალსა“ (103 ფსალმუნი) - იკითხება.
- რიგითი კანონი - არ აღესრულება
- „უფალო დაღად - ვჰყავ“ (იგალობება 5 ვმა - ზე).
- „უფალო დაღად - ვჰყავ“ - სა ზედა დასდებელნი - 6 მუხლად.
  - 6 მუხლი წმიდისა (საზიარო თვენიდან) (ვმა 5)
  - „დიდება“ - წმიდისა: „შენ მონაზონთა სიქადულო, სათოებათა ჭურო და ვარსკვლავო უდაბნოისაო...“ (ვმა 8) (საზიარო თვენიდან)
  - „აწ და“ - ღვთისმშობლისა „დოგმატიკონი“ („დიდების“ ხმის მიხედვით) „მეუფე ცათა კაცთ - მოყვარებისათვის ქვეყანასა ზედა გამოსჩნდა...“ (ვმა 8).
- შესვლა საცეცხლურით - არ აღესრულება.
- წარდგომა - დღისა
- „სტიქარონსა“ ზედა დასდებლები: საზიარო თვენიდან წმიდისა - 3 მუხლი თავისი ჩასართავეებით (ვმა 8).
  - „დიდება“ - წმიდისა: „რაიმე სახელ - გდვათ, ნეტარო სერაპიონ...“ (ვმა 8) (საზიარო თვენიდან)
  - „აწ და“ - ღვთისმშობლისა „აღდგომის“ („დიდების“ ხმის მიხედვით იგივე „სტიქარონი“) - „უსძლოო ქალწულო, რომელმან ღმერთი მუცლად იღე...“ (ვმა 8).
- „აწ განუტევე“
- შემდგომად „მამაო ჩვენოსი“:
  - ტროპარი** წმიდისა - „შენ შორის საკვირველო მამაო, კეთილად დაცულ იქმნა ხატება, რამეთუ აღიღე ჯვარი და შეუდეგ ქრისტესა...“ (ვმა 8).
  - „დიდება“ „აწ და“ - ღვთისმშობლისა „აღდგომის განსატევეელი“ (წმიდის ტროპრის ხმის მიხედვით): „რომელი ჩვენთვის იშვე ქრისტე ქალწულისაგან...“ (ვმა 8)

## ცისკრის უამნი:

- „ღმერთი უფალი“ (იგალობება მე - 8 ვმაზე).

**ტროპარი** წმიდისა - „შენ შორის საკვირველო მამაო, კეთილად დაცულ იქმნა ხატება, რამეთუ აღიღე ჯვარი და შეუღებ ქრისტესა...“-  
2 გზის (ჯმა 8).

**„დიდება“ „აწ და“** – ღვთისმშობლისა „აღდგომის განსატყეველები“ (წმიდის ტროპარის ხმის მიხედვით): „რომელი ჩვენთვის იშვე ქრისტე ქალწულისაგან...“ (ჯმა 8)

- **რიგითი კანონები:** მე - 4, მე - 5 და მე - 6.
- I და II კანონების შემდეგ – აღესრულება მცირე კვერექსი, ხოლო III რიგითი კანონის შემდეგ მცირე კვერექსი არ აღესრულება.
- წარდგომები შემდგომად სტიხოლოდებისა – საზიარო თვენიდან.
- **50 - ე ფსალმუნი.**

### საცისკრო კანონთა 9 ოდა (გალობა)

- იკითხება II კანონი პარაკლიტონიდან (ორშაბათის ცისკრის) და I კანონი სადღესასწაულოდან.
- I კანონი - პარაკლიტონიდან (მოწამეთა მუხლების გარეშე) (ძლისპირი 1 გზის) - 4 მუხლად.
- II კანონი - პარაკლიტონიდან – 4 მუხლად (ძლისპირის გარეშე)
- III კანონი - წმიდისა საზიარო თვენიდან – 6 მუხლად (ძლისპირის გარეშე)
- **კატაფასია** - „აღაღე პირი ჩემი...“
  - **„უმცირესი“** – „უფალსა უგალობდით“.
  - შემდგომად **„განძლიერდასა“** (III გალობისა):
    - **წარდგომა:** „მოღვაწებისა ზეთითა, სულისა ლამპარნი, სულიერად განაბრწყინვენ...“ – 2 გზის (ჯმა 8) (საზიარო თვენიდან)
    - **„დიდება“ „აწ და“** – ღვთისმშობლისა „რვა ხმათა“ (დიდების ხმისა და შეიღეულის დღის მიხედვით): „ზეცისანი გიგალობენ შენ მიმადღებულო დედაო უსძლოო...“
  - შემდგომად **„ღაღადყავსა“** (VI გალობისა):
    - **კონდაკი:** „სიწმიდისა სულისათა საღმრთოდ შეიჭურვე, დაუცხრომელად ლოცუა ვითარცა ლახვარი ხელთ-იდევ კადნიერად განგმირე ეშმაკთა ბა-ნაკი საკვირველთ-მოქმედო მამაო სერაპიონ, ევედრე ღმერთსა დაუცხრო-მელად ჩუენ ყოველთათვის.“ (საზიარო)
    - შენიშვნა:** საეკლესიო ტიპიკონის მოთხოვნის შესაბამისად, კონდაკის შემდეგ იკოსიც უნდა იქნას ამოკითხული, რასაც ვერ ვახერხებთ, რადგან საზიარო თვენში იგი მითითებული არ არის.
  - შემდგომად **„აკურთხევდითსა“** (VIII გალობისა): - **„უპატიოსნესსა.“**
  - შემდგომად **„ადიდებდითსა“** (IX გალობისა): - **„ღირს არსი“** არ იგალობება.
  - **„განმანათლებელი“:** - წმიდისა - „იწროი გზაი მოღვაწებისაი, ქვეყანასა ზედა წარჰვლე, ღმერთშემოსილო...“ (საზიარო თვენიდან) (ჯმა 5)
    - **„დიდება“ „აწ და“** – იგივე
  - **„ყოველი სული“** – იგალობება
  - **„აქებდითსა ზედა დასდებლები“** – 4 მუხლად (საზიარო თვენიდან).
    - **„დიდება“** - წმიდისა - „ღირსო მამაო საწადელო სერაპიონ...“ (ჯმა 7)
    - **„აწ და“** – ღვთისმშობლისა „რვა ხმათა“ (დღისა და დიდების ხმის მიხედვით)
      - „ღაღამვიდე ვედრებითა ღვთისმშობელისათა, ცხოვრება ჩვენი...“ (ჯმა 7)
  - **„დიდება მადალიანი“** - იგალობება.

- **ტროპარი** წმიდისა - „შენ შორის საკვირველო მამაო, კეთილად დაცულ იქმნა ხატება, რამეთუ აღიღე ჯვარი და შეუდგე ქრისტესა...“ (ჯმა 8).  
**„დიდება“ „აწ და“** - ღვთისმშობლისა „ადღომის განსატევებელი“ (წმიდის ტროპრის ხმის მიხედვით): „რომელი ჩვენთვის იშვე ქრისტე ქალწულისაგან...“ (ჯმა 8)

და შემდგომი ყოველივე დიდი ცისკრისა.

## I, III და VI უამნებზე

- **ტროპარი** და **კონდაკი** - ღირსისა სერაპიონ ზარზმელისა.

## წმ. იოანე ოქროპირის სადმართო ლიტურგია

- **„გამომსახველობითი ანტიფონები“** - („ნეტარებების“ გალობის დროს ჩაერთვის „მომისხენენი“ - 8 მუხლად.

წმიდის კანონის მე III გალობიდან - 4 მუხლი.

წმიდის კანონის მე VI გალობიდან - 4 მუხლი, თავის „დიდება“ „აწ და“ - თი

- **შესვლად:**

ა) **თუ ტაძარი მაცხოვრისა და ღვთისმშობლის სახელობისაა**

**ტროპრები:** - ტაძრის.

- რიგის წმიდის.

**კონდაკები:** - „დიდება“ - რიგის წმიდის.

„აწ და“ - ტაძრის.

ბ) **თუ ტაძარი წმიდის სახელობისაა**

**ტროპრები:** - ტაძრის.

- რიგის წმიდის.

**კონდაკები:** - ტაძრის

„დიდება“ - რიგის წმიდის.

„აწ და“ - „სასო და შესავედრებელო...“

**წარდგომა, სამოციქულო, სახარება და განიცადე ღვისა და წმიდის.**

**წარდგომა (ჯმა 8)** - „რომელმან შექმნა ანგელოზნი მისნი სულად და მსახურნი მისნი აღად ცეცხლისა“ (ღვის).

**მუხლი** - „აკურთხევს სული ჩემი უფალსა, უფალო ღმერთო ჩემო, განსდიდენ ფრიად.“

**წარდგომა (გზა 7)** - „პატიოსან არს წინაშე უფლისა სიკვდილი წმიდათა მისთა“ (წმიდის).

**ალილუია (გზა 5)** - „აქებდით მას ყოველნი ანგელოზნი მისნი, აქებდით მას ყოველნი ძალნი მისნი“ (დღის).

**მუხლი** - „რამეთუ მან თქვა და იქმნეს, თავადმან ბრძანა და დაებადნეს.“

**ალილუია (გზა 6)** - „ნეტარ არს კაცი, რომელსა ეშინის უფლისა, მცნებათა შინა მისთა ინებოს ფრიად.“

**მუხლი** - „ძლიერ იყოს ქვეყანასა ზედა ნათესავი მისი და თესლი წრფელთა იკურთხოს.“

**განიცადე** - „რომელმან შექმნა ანგელოზნი მისნი სულად და მსახურნი მისნი ალად ცეცხლისა“ (დღის).

**განიცადე** - „სახსენებელად საუკუნოდ იყოს მართალი, ამბავისაგან ბოროტისა არა ეშინოდის“ (წმიდისა).

2013 წელი 30 ოქტომბერი სულთმოფენობიდან მე-21 შვიდეული 12 ნოემბერი

ძველი სტილით

სამშაბათი

ახალი სტილით

ხსენება:

მოწამისა იოთამ ზედგენიძისა, მეფისათვის თავდადებულისა (1465); მღვდელმწამისა ზინობისა, ეგეას ეპისკოპოსისა, და დისა მისისა ზინობიასი (285); მოციქულთა: ტერტისა, მარკოზისა, იუსტისა და არტემისა, 70-თაგანთა (I); მღვდელმწამისა მარკიანესი (მარკელესი), სირაკუზელი ეპისკოპოსისა (II); მოწამისა ევტროპიასი (დაახ. 250); მოწამისა ანასტასია თესალონიკელისა (III).

ლიტ. - კოლ. 249 დას. I, 1-2, 7-11. ლკ. 60 დას. XI, 34-41. მოწ. - 2 ტიმ. 292 დას. II, 1-10. ინ. 52 დას. XV, 17 - XVI, 2.

სადამოს მსახურება: IX ჟამნი – მწუხრის ჟამნი – სერობის ჟამნი

დილის მსახურება: შუაღამის ჟამნი – ცისკრის ჟამნი – I ჟამნი

დღის მსახურება: III ჟამნი – VI ჟამნი – საღმრთო ლიტურგია

წლის ციკლის მსახურება აღესრულება – - - საზიარო თვენიდან.

კვირის ციკლის - - - - - პარაკლიტონიდან.

სადღეღამისო ციკლის - - - - - ჟამნიდან.

დროითი ინტერვალი: საპასექო წლის მე – 2 პერიოდი.

ტიპიკონი: შვიდეულის სადაგ დღეს „დიდებაჰადალიანის“ (III რანგის) მსახურება.

შენიშვნა: სერობისა და შუაღამის ჟამნები სამრევლო ტაძრებში არ აღესრულება.

IX ჟამნი:

- ტროპრები: ღირსისა სერაპიონ ზარზმელისა
- კონდაკები: ღირსისა სერაპიონ ზარზმელისა

## მწუხრის უამნი:

- „მოვედით თაყვანის - ესცეთ“ - იკითხება.
- „აკურთხევს სული ჩემი უფალსა“ (103 ფსალმუნი) - იკითხება.
- რიგითი კანონი - მე 18.
- „უფალო დაღად - ვჰყავ“ (იგალობება 4 ვმა - ზე).
- „უფალო დაღად - ვჰყავ“ - სა ზედა დასდებელნი - 6 მუხლად.
  - 6 მუხლი წმიდისა (საზიარო თვენიდან) (ვმა 4)
  - „დიდება“ - წმიდისა: „გაქუს შენ მდინარე საშუებელისა, მომდევებელი წყალი...“ (ვმა 2) (საზიარო თვენიდან).
  - „აწ და“ - ღვთისმშობლისა „დოგმატიკონი“ („დიდების“ ხმის მიხედვით) - „წარხდა სახე სჯულთა მათ პირველთა და გამოსჩნდა მადლი დღეს და ვითარცა მაყვალი არა შესწვა ცეცხლმან...“ (ვმა 2).
- შესვლა საცეცხლურით - არ აღესრულება.
- წარდგომა - დღისა
- „სტიქარონსა“ ზედა დასდებლები: საზიარო თვენიდან წმიდისა - 3 მუხლი თავის ჩასართავეებით (ვმა 4).
  - „დიდება“ - წმიდისა: „მარტვილთა გვირგვინითა შემკული და სისხლთა შენთა მიერ ღებულითა...“ (ვმა 8) (საზიარო თვენიდან)
  - „აწ და“ - ღვთისმშობლისა „ადდგომის“ („დიდების“ ხმის მიხედვით იგივე „სტიქარონი“) - „უსძლოო ქალწულო, რომელმან ღმერთი მუცლად იღე...“ (ვმა 8).
- „აწ განუტევე“
- შემდგომად „მამაო ჩვენოსი“:
  - ტროპარი წმიდისა - „მოწამეთა შენთა უფალო ღვაწლსა შინა თვისსა გვირგვინი მოიგე უხრწნელებისა...“ (ვმა 4).
  - „დიდება“ „აწ და“ - ღვთისმშობლისა „ადდგომის განსატევებელი“ (წმიდის ტროპრის ხმის მიხედვით): „რომელი საუკუნიტგან დაფარულ იყო...“ (ვმა 4).

## ცისკრის უამნი:

- „ღმერთი უფალი“ (იგალობება მე - 4 ვმაზე).
- ტროპარი წმიდისა - „მოწამეთა შენთა უფალო ღვაწლსა შინა თვისსა გვირგვინი მოიგე უხრწნელებისა...“ - 2 გზის (ვმა 4).
- „დიდება“ „აწ და“ - ღვთისმშობლისა „ადდგომის განსატევებელი“ (წმიდის ტროპრის ხმის მიხედვით): „რომელი საუკუნიტგან დაფარულ იყო...“ (ვმა 4)

- რიგითი კანონები: მე - 7, მე - 8 და მე - 9.
- I და II კანონების შემდეგ – აღესრულება მცირე კვერექსი, ხოლო III რიგითი კანონის შემდეგ მცირე კვერექსი არ აღესრულება.
- წარდგომები შემდგომად სტიხოლოდიებისა – საზიარო თვენიდან.
- 50 - ე ფსალმუნი.

## საცისკრო კანონთა 9 ოდა (გალობა)

იკითხება II კანონი პარაკლიტონიდან (სამშაბათის ცისკრის) და I კანონი სადღესასწაულოდან.

I კანონი - პარაკლიტონიდან (მოწამეთა მუხლების გარეშე) (ძლისპირი 1 გზის) - 4 მუხლად.

II კანონი - პარაკლიტონიდან – 4 მუხლად (ძლისპირის გარეშე)

III კანონი - წმიდისა საზიარო თვენიდან – 6 მუხლად (ძლისპირის გარეშე)

- **კატავასია** - „აღაღე პირი ჩემი...“

- **„უმცირესი“** – „უგალობდით უფალსა“.

- შემდგომად **„განძლიერდასა“** (III გალობისა):

- **წარდგომა:** „ვითარცა ოქროი ბრძემდესა შინა განპბრწყინდი მოღვაწებითა და ეღვარე იქმენ...“ *(გზა 1)* (საზიარო თვენიდან)

**„დიდება“ „აწ და“** – იგივე

- შემდგომად **„ღაღადყავსა“** (VI გალობისა):

- **კონდაკი:** „ვარსკულავი ეღვარე აღმოსედ, უცთომელ მზესა გვაუწყებ ქრისტესა, შარავანდედთა მის მიერ განათლებულთ ღუაწლით-შემოსილო იოთამ, სრულიად დაშრიტე სიმრავლე საცთურისა და ჩუენ მოგვფენ ორკეცსა მას ნათელსა და მეოხ-ხარ დაუცხრომელად ჩუენ ყოველთათვის...“ *(საზიარო)*

**შენიშვნა:** საეკლესიო ტიპიკონის მოთხოვნის შესაბამისად, კონდაკის შემდეგ **იკოსიც** უნდა იქნას ამოკითხული, რასაც ვერ ვახერხებთ, რადგან საზიარო თვენი იგი მითითებული არ არის.

- შემდგომად **„აკურთხევდითსა“** (VIII გალობისა): - **„უპატიოსნესსა.“**

- შემდგომად **„ადიდებდითსა“** (IX გალობისა): - **„ღირს არსი“** არ იგალობება.

- **„განმანათლებელი“:** - წმიდისა - „რომელი ღვაწლთა მიერ შეიმკვე, სიბრძნით და სიმხნით თავს ისხენ...“ (საზიარო თვენიდან) *(გზა 8)*

**„დიდება“ „აწ და“** – იგივე

- **„ყოველი სული“** – იგალობება,

- **„აქებდითსა ზედა დასდებლები“** – 4 მუხლად (საზიარო თვენიდან).

**„დიდება“** - წმიდისა - „რაჟამს იგი წინაშე საყდართა, ღვაწლნი დიდნი აჩვენენ, გონებითა მტკიცითა...“ *(გზა 7)*

**„აწ და“** – ღვთისმშობლისა **„რვა ხმათა“** (დღისა და დიდების ხმის მიხედვით) „ქრისტე ნათელო აღმობრწყინდი ქალწულისაგან...“ *(გზა 7)*

- **„დიდება მადალიანი“** - იგალობება.

**ტროპარი** წმიდისა - „მოწამეთა შენთა უფალო ღვაწლსა შინა თვისსა გვირგვინი მოიგე უხრწნელებისა...“ *(გზა 4).*

**„დიდება“ „აწ და“** – ღვთისმშობლისა **„აღდგომის განსატყევებელი“** (წმიდის ტროპარის ხმის მიხედვით): „რომელი საუკუნითგან დაფარულ იყო...“ *(გზა 4)*

## I, III და VI ქაშნებზე

- ტროპარი და კონდაკი - წმ. იოთამ ზედგენიძისა.

### წმ. იოანე ოქროპირის სადმრთო ღიტურგია

- „გამომსახველობითი ანტიფონები“ - („ნეტარებების“ გალობის დროს ჩაერთვის „მომიხსენენი“ - 8 მუხლად).

წმიდის კანონის მე III გალობიდან - 4 მუხლი.

წმიდის კანონის მე VI გალობიდან - 4 მუხლი, თავის „დიდება“ „აწ და“ - თი

- შესვლად:

ა) თუ ტაძარი მაცხოვრისა და ღვთისმშობლის სახელობისაა

ტროპრები: - ტაძრის.

- რიგის წმიდის.

კონდაკები: - „დიდება“ - რიგის წმიდის.

„აწ და“ - ტაძრის.

ბ) თუ ტაძარი წმიდის სახელობისაა

ტროპრები: - ტაძრის.

- რიგის წმიდის.

კონდაკები: - ტაძრის

„დიდება“ - რიგის წმიდის.

„აწ და“ - „სასო და შესავედრებელო...“

*წარდგომა, სამოციქულო, სახარება და განიცადე ღმრისა და წმიდის.*

**წარდგომა (გმა 7)** - „იხარებდეს მართალნი უფლისა მიმართ და ესვიდეს მას“ (ღმრის).

**მუხლი** - „შეისმინე ღმერთო ხმისა ჩემისა გვეედრებოდი რაი მე შენდამი.“

**წარდგომა (გმა 4)** - „წმიდათა რომელნი არიან ქვეყანასა მისსა, საკვირველ ყო უფალმან ყოველივე ნება მისი მათ შორის“ (ღმრის).

**ალილუია (გმა 4)** - „მართალი ვითარცა ფინიკი აღყვავნეს და ვითარცა ნაძვი ღიბანისა განმრავლდეს“ (ღმრის).

**მუხლი** - „დანერგულნი სახლსა შინა უფლისასა ეზოთა შინა სახლისა ღმრთისა ჩვენისათა ჰყვადიან“.

**ალილუია (გმა 4)** - „ხმობდეს მართალნი და უფალმან ისმინა მათი და ყოველთა ჭირთა მათთაგან იხსნა იგინი“ (წმიდის).

**მუხლი** - „მრავალ არიან ჭირნი მართალთანი და ყოველსავე მისგან იხსნეს იგინი უფალმან“.

**განიცადე** - „სახსენებელად საუკუნოდ იყოს მართალი ჰამბაგისაგან ბოროტისა არა ეშინოდის“ (დღის).

**განიცადე** - „იხარებდეს მართალნი უფლსა მიმართ“ (წმიდის).

2013 წელი 31 ოქტომბერი სულთმოფენობიდან მე-21 შვიდეული. 13 ნოემბერი  
ბევლი სტილით ოთხშაბათი ახალი სტილით

**ხსენება:**

**წმიდათა ათთა ბევრთა (100 000) მოწამეთა, თბილისს ხვარაზმელთაგან წამებულთა (1227);** მოციქულთა: სტაქოსისა, ამპლიასი, ურბანოსისა, ნარკისისა, აპელიოსისა და არისტობულესი - 70-თაგანთა (I); მოწამისა ეპიმაქესი (დაახ. 250); ღირსისა მავრასი (V).

**ცისკ. - ლკ. 106 დას. XXI, 12-19. ლიტ. - მოწ. - რომ. 99 დას. VIII, 28-39. მთ. 36 დას. X, 16-22.**

**საღამოს მსახურება: IX ჟამნი** – მცირე მწუხრი  
**ღამისთევის მსახურება: დიდი მწუხრი** – დიდი ცისკრის – I ჟამნი  
**ღღის მსახურება: III ჟამნი** – VI ჟამნი – **საღმრთო ლიტურგია**

**წლის ციკლის მსახურება აღესრულება** - - - (იმის გამო ეს მსახურება არ არის მოცემული საღმრთოწაულოში, საღმრთოწაულო განგება წაიკითხება თინათინ მჭედლიშვილის ბროშურიდან, რომლის ტექსტსაც ქვემოთ გთავაზობთ).

**კვირის ციკლის** - - - - - არ აღესრულება.  
**საღმრთოწაულო ციკლის** - - - - - ჟამნიდან.

**ღრთითი ინტერვალდი:** საპასექო წლის მე – 2 პერიოდი.  
**ტიპიკონი:** შვიდეულის სადაგ ღღეს „ღამისთევის“ (V რანგის) მსახურება.

**IX ჟამნი:**

- **ტროპრები:** წმ. იოთამ ზედგენიძისა
- **კონდაკები:** წმ. იოთამ ზედგენიძისა

**დიდი მწუხრი**

- „**მოვედით თაყვანის - ესცეთ**“ - იგალობება.
- „**აკურთხევს სული ჩემი უფალსა**“ (103 ფსალმუნი) - იგალობება

- „ნეტარ არს კაცი“ (I აღსავალი).
- „უფალო დაღად – ვჰყავ“ (იგალობება 5 ჳმა - ზე)
- „უფალო დაღად – ვჰყავ“-სა ზედა დასდებელნი წმიდათა მოწამეთა – 8 მუხლად

- „ჰ, მრავალ-სახელოვანო მოწამენო, რაჟამს ბრძანებულისაებრ ჰყუეს ყოველი მტარვალთა და მოჰყვანდეს მამანი დედათა თანა და აიძულებდეს ესრეთ ყოფად, გარნა უმრავლესთა ქრისტესთჳს პერობილთა საკრველი სიმნწჳ აჩუენეთ და შეურაცხებად წმიდათა ხატთად, და შჯულისა დატევებად არა თავს-იდეთ, არამედ კადნიერებითა და ახოვნებით აღიარეთ ქრისტე ღმერთი და თავისუფლებისა და პატივისა წილ გვრგვნი მარტვლობისად მიიღეთ“ **2-გზის**
- „ჰ, სანატრელი ყოფად თქუენი გონიერი, რამეთუ შინებასა და ლიქნასა მძღაღრთასა არა უარჰყავით თქუენ ქრისტე, შემოქმედი ჩუენი და უფალი, არამედ მოყუასი მოყუასსა განაძლიერებლით მეტყუელნი: „დავითმინოთ ერთ-გზის საშინელი სიკუდილი და მოვიდოთ მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესთანა უკუდავებად დაუსრულებელი“, რომლისათჳსცა ვიქადით კრებული ესე ღმრთივშეკრებული და ჳსენებასა თქუენსა პატივს-ვსცემთ ყოვლად-ქებულად მჳმობელნი“ **2-გზის**
- „ჰ, კეთილმსახურებისა სიმწნითა დიდებულნო, ქრისტესთჳს პერობილთა მათგან არცა ერთისა ჰასაკისა აღსავალსა ქუეშე იყვენით, არამედ რომელიმე თქუეგანნი ყრმად, რომელიმე ჳაბუკ, რომელიმე მჳცოვან, რომელიმე ბერ, და რომელიმე უხუცეს, გარნა ყოველნი მიიწიენით ერთობითა სარწმუნოებისადთა სრულად საზომად ჰასაკისა სრულებასა მის ქრისტესისა, რომლისათჳსცა გიგალობთ ერთობასა შეერთებულსა სულისა მიერ წმიდისა“ **2-გზის**
- „ჰ, მრავალ-ბევრთაგან შეკრებულნო, თანა-მოწამე იქმენით და თანა-ზიარნი ურთიერთარს და ერთობით მიხუედით ასპარეზსა ვნებისასა, არა ყოველნი მამაკაც, არამედ რომელიმე დედაკაც, გარნა ერთ ქრისტე იესუდს მიერ, რამეთუ ქრისტეს მიერ ნათელდებულთა და ქრისტე შემოსილთა შორის არა არს რჩევად მამა-კაცისად და არცა დედა-კაცისად, რომლისათჳს ერთობით იქებით ეკლესიასა შინა.“
- „ჰ, უძღვევლითა ღუაწლითა ბრწყინვალენო, რომელთა უძღურებად დედობრივი განიოტეთ და ღუაწლსა მამაკაცებრ ახოვნად შეკადრნეთ, აწ დაშრიტეთ ერსა ჩუენსა ზედა აღძრულნი უკეთურთა ზრახვანი და დედანი და დანი ჩუენნი, ხატნი და ბეჭედნი მამულისა ყოფისანი, იწსენით ვნებათაგან ყოვლად წარმწყმედელთა და ურცხვინოებისაგან დაიფარეთ, რადთა ქრისტეს სიყუარულითა და შიშითა, ჩუეულებისაებრ მამულისა სღვისა, ჳსენებასა თქუენსა აღიდებდენ და კურთხეულითა ენითა ქართულითა დაუცხრომელად გნატრიდენ.“

**„დიდება“** - მოწამეთა - „რომელთა მრავალ-სახენი ტანჯვანი მოითმინეთ და კეთილად სრულ-ჰყავთ სრბად თქუენი, მარტვლნო, და ესრეთ გვრგვნი ძღვევისად დაუჭნობელი მოიხუენით, აწ მოუვლინეთ რისხვად ღმრთისად ჩუენზედ აღძრულთა მათ უშჯულოთა მტერთა ჩუენთა, უფლისა განმარისხებელთა და მშჳდობად და წყალობად თქუენი აღურაცხელი მოჰმადლეთ სჯულდებულსა

ერსა, მართლმადიდებელსა და მართლადმსაარებელსა, ჳსენებისა თქუენისა კეთილად აღმასრულებელთა და სურვილით პატივისმცემელთა.”

**„აწდა”** - ღვთისმშობლისა მისივე - „ვინ არა გნატრიდეს შენ ყოვლადწმიდაო ქალწულო, ვინ არა უგალობდეს უხრწნელსა შობასა შენსა, რამეთუ რომელი იგი უჟამოდ მამისაგან გამობრწყინდა, ძმ მხოლოდშობილი, იგივე შენგან უბიწოდსა გამოვიდა გამოუთქმელად ჳორცშესხმული, ღმერთი იყო ბუნებით და ჩუენთვის კაც-იქმნა წყალობით. არა ორებად პირთასა განიკუეთა, არამედ ორითა ბუნებითა შეურევნელად საცნაურ-იქმნა. მას ევედრე, პატიოსანო და ყოვლადსანატრელო, ცხორებისათვის სულთა ჩუენთასა.”

- **შესვლა საცეცხლურით**

- **წარდგომა** – დღისა

- **საწინასწარმეტყველო** – 3 *(საკითხავი წმიდათა მოწამეთა იხ. 13 სექტემბერს)*

- **„ლიტიასა ზედა დასდებულნი”:**

- ტაძრისა – 1 მუხლი

- მოწამეთა

- „არა ერთისა წესისა ქუეშე პერობითა შეცულ იყვენით, ღუაწლისა-მძღენო, არამედ რომელნიმე თქუენგანნი ეპისკოპოს, რომელნიმე მღდელ, რომელნიმე დიაკონ და მსახურ ეკლესიისა, რომელნიმე მონაზონ და მოწესე, და რომელნიმე მსაჯულ და განმსჯელ ერისა, რომელნიმე მკედართა შორის უპირატეს და რომელნიმე მკედარ, გარნა ყოველნი შემწირველნი თავთა თვისთა საკურთხეველსა ზედა ვნებისასა, ქრისტეს ღმრთისა მიმართ, რომლისათვისცა კრძალვით შეუვრდებით პატიოსანსა ხატსა თქუენსა და რაჟამს უგუნურნი ქრისტეს მბრძოლნი, ურიდად შეგერინეს, ვითარცა კრავთა, და ერთი ერთსა უსწრობდეს, რომელნიმე მახვლითა გცემდეს, რომელნიმე ჳოროლითა და ისრითა შეგჩხუპდეს და ჳორცთა თქუენთა უწყალოდა დასტრიდეს, და რომელნიმე დანებითა განაპებდეს და ქუეშე ხიდისასა, მტკუარსა შინა ჩაჳყრიდეს, მაშინ სრულ-იქმნა წამებად თქუენნი და გვრგვნსა დაუჭნობელსა მიემთხვიეთ, ხოლო აწ ცოდვათა მოტევებად და კეთილი ცხორებად ითხოვეთ ჩუენთვს, რადთა სიხარულითა გულისადათა გნატრიდეთ.”

- „ძღვეით გვრგვნოსანნო მარტვლნო, რაჟამს თავნი თქუენნი წარკვეთილნი ხიდსა მას ზედა ჳგორვიდიან და სიმეწამულწ სისხლისა თქუენისადა, გარემოთა მათ ალაგთა მეტეხისათა შეამკობდა, სადაცა დათხეულ იყო სისხლი თქუენნი ყოვლადწმიდადა, მაშინ სულნი თქუენნი, განწმედილნი ჳელთა შინა ზეციერისა მამათ-მთავრისა ერთობით აღვიდოდა.”

- „მეწამულად სისხლითა პორფიროვან ქმნილნო, ოდეს დაჳფლნეს ღახვართაგან დაპებულნი წმიდანნი გუამნი თქუენნი სიღრმესა მდინარისასა, მახლობლად მისა, სადა იგი დაწვეს ჳორცნი იგი წმიდისა დიდებულისა მოწამისა ჳაბოდსნი, მიერთგან ურიცხუთა ჳირთა თფილისელთასა მრავალ-გზის დამწხნელ იქმენით,

რომლისათვისცა გევედრებით, მარტვლნო, ქრისტვს მიმართ მეოხ-გუეყენით, გარდამოვლინებად ეკლესიათა ერთობად, მშვდობად და დიდი წყალობად.”

**„დიდება” - მოწამეთა -** „დაღათუ იყვენით თქვენ მართლისა სარწმუნოებისა აღმსარებელნი, გარნა არა ყოველნი ქართველნი, არამედ რომელნიმე უცხონი, უცხოთა შჯულითა მოსრულნი და ქრისტვს, ჭეშმარიტისა ღმერთისა შემმცნებელნი, და სანატრელთა მათ მოწამეთა: შუშანიკისა, რაუდენისა და ჰაბოდსა მიბაძვითა, მისთვის თავისა შემწირველნი, რომლისათვის ერნი საქართველოდსანი ტაძრად თქვენდა მოვისწრაფვით და გაქებთ შემოკრებულნი ყოველნი.”

**„აწ და” - ღვთისმშობლისა მისივე -** „გიხაროდენ, ქალწულო, ღრუბელო და ეტლო სიტყვსაო, გიხაროდენ, უზესთაეს გონებისა და გარეგან საზღუარისა, წმიდაო ღმერთისა საყოფელო, გიხაროდენ, უქორწინებელო სულითა ზესთა ღმერთთასა მიდგომილო, გიხაროდენ, თვნიერ თესლისა მშობელო, და თვნიერ ხრწნილებისა მაწოვნებელო, გიხაროდენ, მარადის ქალწულო, კურთხეულო.”

– **„სტიქარონსა ზედა დასდებელნი”:**

1. „ჰ, ყოვლად პატიოსანო მოწამენო, მეცა ურცხვენელად წარმადგინე წინაშე საყდარსა ქრისტესსა, სადა გვრგვინოსანი დამკვდრებულ ხართ თქვენ, რადთა ეპოთ განსუენებად და შუებად წარუვალი შემსხმელთა თქვენთა და ვსენებისა თქვენისა კეთილად აღმასრულებელთა.”

**მუხლი - „პატიოსან არს წინაშე უფლისა სიკუდილი წმიდათა მისთა.”**

2. „ღუაწლით შემოსილნო მოწამენო ათნო ბევრნო, მარადის უფლისა მვედრებელნო, აწ მომწყდართა თქვენთა თანა ევედრენით ქრისტესა ღმერთსა, რადთა განაბნიოს მტერნი ჩუენნი ურიცხვი, და შეგვეკრიბოს განბნეული ერი ქართველთად.”

**მუხლი - „ნეტარ-არს კაცი, რომელსა ეშინის უფლისა, მცნებათა შინა მისთა ინებოს ფრიად.”**

3. „მოწამეთა პატიოსანი საჯსენებელი მოიწია დღეს, მხიარულმყოფელი მარტვლთმოყუარეთა ქართველთა, რადთა მოვიდოთ კურნებად, რამეთუ ამათ ღმერთისა მიერ მოიდეს მადლი სულისა წმიდისა კურნებად სულთა ჩუენთა.”

**„დიდება” - მოწამეთა -** „კეთილად განშუენდების დღეს ქუეყანად ჩუენი და ერი ქართველთად განსცხრების, ვითარცა გვრგვინითა შემკული თქვენ მიერ, ჰ, მრავალ-სახელოვანო მოწამენო, ხოლო დღესასწაულიცა ვსენების თქვენისად ბრწყინვალედ განათლდების.”

**„აწ და” - ღვთისმშობლისა მისივე -** „უსძლოო ქალწულო, რომელმან ღმერთი მუცლად-იღე გამოუთქმელად, დედაო ღმერთისა მადლისაო, ევედრებად მონათა შენთად შეიწირე, ყოვლადუბიწოო, რომელი მისცემ ყოველთა შენდობასა

ცოდვათასა, ჩუენიცა ვედრებად შეიწირე და გვთხოვე ჩუენ დიდი წყალობად.”

- **„აწ განუტევე“**
- შემდგომად **„მამაო ჩვენოსი“**:  
**ტროპარი** წმიდისა - „ღუაწლით შემოსილნო მოწამენო ათნო ბევრნო, ევედრენით ყოვლად სახიერსა ღმერთსა, რადთა მოჰმადლოს ქართველთა სარწმუნოებად თქუენებრი, და დაიფაროს ქუეყანად ივერიისა წვალებისაგან და სჯულისაგან უცხოდსა, ხოლო მკვდრნი ტფილისისანი ყოვლისაგან ძვირისხილვისა” - **2 გზის (გზა 4)**.
- **„ღმრთისმშობელო ქალწულო“** - 1 გზის.
- პურის კურთხევა

## დიდი ცისკარი

- **„ღმერთი უფალი“** (იგალობება მე - 4 კმაზე).  
**ტროპარი** წმიდისა - „ღუაწლით შემოსილნო მოწამენო ათნო ბევრნო, ევედრენით ყოვლად სახიერსა ღმერთსა, რადთა მოჰმადლოს ქართველთა სარწმუნოებად თქუენებრი, და დაიფაროს ქუეყანად ივერიისა წვალებისაგან და სჯულისაგან უცხოდსა, ხოლო მკვდრნი ტფილისისანი ყოვლისაგან ძვირისხილვისა.” - **2 გზის (გზა 4)**
- **„დიდება“ „აწ და“** - ღვთისმშობლისა **„აღდგომის განსატეგებელი“** (წმიდის ტროპრის ხმის მიხედვით): - „რომელი საუკუნითგან დაფარულ იყო და ანგელოზთაგან უცნაურ საიდუმლო.” - **(გზა 4)**
- **რიგითი კანონები:** მე - 10 და მე - 11.
- **რიგითი კანონები შემდეგ** - მცირე კვერექსი აღესრულება.
- **წარდგომა შემდგომად I სტიხოლოდისა** - „შეგვრბეთ სარწმუნოებით, დღესასწაულის მოყუარენო ქართველნო, და დაღად-ვჰყოთ ყოველთა აღტყუელვითა ხელთადთ ა წინა მდებარესა ამას დღესასწაულსა ათთა ბევრთა მოწამეთასა, რადთა ზეცისა მხედრობათა თანა ვიხარებდეთ” **2-გზის.**
- **„დიდება“ „აწ და“** - „განეცხადების საიდუმლოდ საუკუნითგან დაფარული მთავარანგელოზს, მითხრობად ძრწოლით ქალწულისა მიმართ, ხოლო იგი ახარებს კურთხეულსა დედათა შორის, რომლისა-თანა ვკმობდეთ: გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენ თანა.”
- **წარდგომა შემდგომად II სტიხოლოდისა** - „რომელნი დაგკლნეს უწყალოდ მახვილითა, ვითარცა ცხოვარნი, რომელთამე გიგმირეს მუცელსა, რომელნიმე შუა განგკუეთეს, და რომელ-ნიმეს გიხეთქეს თავსა და ესრეთ აღგასრულნეს, ვითარცა ჰეროდემ ჩჩვლნი უმანკონი და

ვითარცა ზაქარიად უბრალოდ დაკლული. ამისთვისცა შემოკრებულნი ესე პატივს-გცემთ თქვენ და გაქებთ ყოველნი მორწმუნენი.” 2 - გზის

**„დიდება“ „აწ და“** - „ყოველთა შემოქმედი ღმერთი და დამბადებელი, ყოვლადუბიწო, წმიდაო, საღმრთოდსა სულისა მიერ მუცლად იღე და უხრწნელად ჰშევე, რომლისათვისცა გადიდებთ შენ და გიგალობთ, ქალწულო, ვითარცა ყოველთა მეუფისა პალატსა და სოფლისა შემწესა.“

- **„სადიდებლიანი“** (მე-19 კანონის 134-ე და 135-ე ფსალმუნის გამოკრებილი მუხლები)
- **„გადიდებსა“** გამოკრებილი მუხლები დავეთნიდან
- **შემდგომად სადიდებელისა წარდგომა** - „აწ მოგვეფინეთ მადლი ღოცვისა თქუენისად, ათნო-ბევრნო, და ნუ განგეწირავთ მოქენეთა თქუენთა, არამედ ითხოვეთ ქრისტესაგან, შემწენო განუყოფელნო და უძლეველნო, რადთა დაამკუნეს მტერნი ჩუენნი ცბიერნი და ძლევად მოსცეს შვლად ღმრთისა გამორჩეულსა ერსა ჩუენსა, ქრისტეს სისხლითა მოსყიდულთა და განთავისუფლებულთა, და ერად საზეპუროდ აღნიშნულთა და აღწერილთა.“ 2-გზის

**„დიდება“ „აწ და“** - „თანა დაუსაბამოდ სიტყუად მამისად, შენგან მიიღებს დასაბამსა ბუნებისა ჩუენისასა, ღმრთისმშობელო, და უჟამო შემოვალს ჟამსა შინა და სიტყუად განზრქებო-დის, ხოლო ძე ღმრთისად ძედ შენდა იწოდების. ეჰა, მიუწვთომელი ესე საიდუმლოდ, იესუ ქრისტე გუშინ და დღეს, და იგი თავადი არს უკუნისამდე.“

- **აღსავალი I, კმა 4 კვირის ცისკრისა:** „სიყრმით ჩემითგან...“
- **წარდგომა** (საცისკრო სახარებისა) – „პატიოსან-არს წინაშე უფლისა სიკუდილი წმიდათა მისთა“ (გზა 7).

**მუხლი** - „რად მივაგო უფალსა ყოვლისავეთვს, რომელი ესე მომაგო მე.“  
(ცისკრის სახარება: - ლკ. 106 დას. XXI, 12-19)

- **დასდებელი შემდგომად 50-ე ფსალმუნისა (გერდ)** - „მღვძარე მწყემსად მოგიგიებთ თქუენ, ყოვლად წმინდანო, ათბევრობაო გუნდო მარტვრთაო, საღმრთოო შეკრებულებაო, რამეთუ მტერთა ძვრის ზრახვასა ადვილად განდევნით, და ეკლესიასა მოსცემთ მშვედობასა, ღუაწლისა მძღენო, ამისთვის ჩუენ ყოველნი დღესასწაულსა ამას თქუენსა დღესასწაულობად შეკრებილნი დაუცხრომე-ლად გნატრიო.“

## საცისკრო კანონთა 9 ოდა (გალობა)

- I კანონი ღმრთისმშობლისა – 6 მუხლი (იხ. ჟამნში სავედრებელი გალობა ღვთისმშობლისა)
- II კანონი წმიდათა მოწამეთა - 8 მუხლი. (გზა 1)
- **კატავასია** - „აღაღე პირი ჩემი...“
- **„უმცირესი“** - „უგალობდით უფალსა“.

### გალობა 1, უგალობდითსა, ჳმა 1 გუერდი

**ძლისპირი:** ეტლთა სიმრავლჳ მჳედრებითურთ ზღუასა მეწამულსა სიღრმესა შთაითხინეს სიმტკიცითა მკლავისადათა ქრისტეს მიერ და იჳსნეს ისრაელნი, და ძღვევისა გალობასა ახლად იტყოდეს.

სამებისა ნათლითა განათლდით, ყოვლად ქებულნო, და ანგელოზთა წესთა თანა აღირაცხეთ, რომელთა თანა იხარებთ და განსცხრებით მარადის, ათნო-ბევრნო მოწამენო, და საკრველთმოქმედებითა ცხადად ჰკურნებთ.

ჳ მოწამენო დიდნო, ღუაწლით შემოსილნო, სურვილით მგალობელნი თქუენნი გჳჳსენით ცოდვათაგან ბოროტთა და უძღურებათაგან და განსაცდელთა, რადთა ღირს ვიქმნეთ ცათა სასუფეველსა.

რომელნი ერთსა უფალსა ეზიარენით, და ერთი სარწმუნოებად განუგმობელად დაიცევით, და ერთი ნათლისღებად, და შჳლებად ღმრთისად არა მონა ჰყვენით, აწ კარნი წყალობისანი განგვიხვენით ლოცვითა თქუენითა, გევედრებით.

**„დიდება“** - „მეოხნო მვედრებელთა და მადიდებელთა თქუენთაო, ქრისტეს სარწმუნოებისათჳს წამებულნო, პატიოსანნო მოწამენო ათნო ბევრნო, მეოხებითა თქუენითა დაგზფარეთ მორწმუნენი.“

**„აწ და“** - „გუნდმან წინადსწარმეტყუელთამან წინადთ მოგასწავა შენ მთად საღმრთოდ და კარად განუვლელად, ამისთჳსცა გევედრებით: კარნი სინანულისანი საღმრთონი განგზხუენ ჩუენ, ქალწულო.“

### გალობა 3, განძლიერდასა

**ძლისპირი:** „რომელმან დააფუძნე ქუეყანად წყალთა ზედა და მიეც ნაყოფიერებად ყოლაღვე, კლდესა ზედა, ქრისტე, მცნებათა შენთასა შეუძრავსა დაამტკიცე ეკლესიად შენი, მხოლოო სახიერ და კაცთ-მოყუარე.“

„გუამისა მიერ დაბძარვითა გუამითთა მათ წყლულებათა მჳსნელისა ჩუენისათა ეზიარეთ, ახოვანნო, ჳუარითა ჳურვილნო მჳედარნო ქრისტჳსნო, და შარავანდელი სიკეთისად და გზრგზნი სიმართლისად მართლისა მისგან მსაჯულისა მიიღეთ.“

„არად შერაცხეთ თქუენ გულის-წყრომად ჳალაღედინისად, რომელი გაიძულებდათ შეურაცხებასა წმიდათა ხატთასა, არამედ კრძალვით თაყუანის-ეცით, მოწამენო, ბრწყინვაღესა ხატთა ქრისტჳს მეუფისასა და ყოვლადწმიდისა მშობელისა მისისასა.“

„არა აღირჩიეთ თქუენ, მარტვლნო შუენიერნო, წუთ ჳამისა ამის პატივი, არცა უარყავ სახელი ქრისტესი, რომლისათჳსცა იწამეცა და დასდევ სული თქუენი მისთჳს, ხოლო აწ ქართველთა ერთა ჰფარავთ და იჳსნით მარადის.“

- „დიდება“** - თქვენ ქრისტესთვის ვნებითა და სიკუდილითა, შეჰმუსრეთ თავი იგი ამპარტავანისა გუელისად, რომლისათვისცა ენასა ჩუენსა უძღურად მეტყუელსა მოეცით ძალი, რადთა შეგითხზნათ საგალობელი ესე დიდებისად და ძღვევისად.
- „აწ და“** - მარჯუენით ქრისტეს მდგომარემან, ვითარცა დედოფალმან შემოსილმან, ღმრთივსახარულეევანო, სამოსლითა ოქროვანითა, სუფევად ზეციერი გვთხოვე ჩუენ, მეოხებითა შენითა, ქალწულო, ყოვლადწმიდაო.
- **შემდგომად „განძლიერდასა“ (III გალობისა):** - წარდგომა წმიდისა - „ღუაწლი კეთილი მოიღუაწეთ სარწმუნოებითა, პატიოსანნო მოწამენო მრავალ-ბევრთაგან შეკრებულნო, და მძლავრთა უღმრთოებანი ამხილეთ, მჴნენო, ვინადცა გვრგვნი სიმართლისად ღირსად მიიღეთ და მსხუერპლად სათნოდ ღმრთისა შეიწირეთ, წმიდითა მეოხებითა თქუენითა მიანიჭებთ ყოველთა ცოდვათა შენდობასა.“
- „დიდება“ „აწ და“** - ღვთისმშობელისა - „მისივე აჰა, ესერა ზეცისა დიდებასა დაემკვდრენით თქუენ და მოგეცათ სუფევად სამარადისოდ და ზიარებითა საღმრთოდთა განღმრთობილ ხართ, ათნო ბევრნი მოწამენო, მოგვკვსენენით აწ მგალობელნი თქუენნი და კსენებისა თქუენისა მადიდებელნი.“

#### გალობა 4, უფალო მესმასა

**ძღისპირი:** ესმა მოსლვად შენი დიდებული, დაუკვრდა ამბაკუმს, ქრისტე, და შიშით დაღაღებდა: გამოხუედ მაცხოვრად ერისა შენისა და კსნად ცხებულთა შენთა.

სამებისა ტრფიალთა საღმრთოთა მოწამეთა, რიცხვით ათთა ბევრთა, ქებით შეგამკობთ მორწმუნენი და ყოვლითურთ თავსა ჩუენსა შევევდრებთ საღმრთოსა საფარველსა თქუენსა.

განაქარვეთ თქუენ ყოველნივე მტერისა სიბორგილენი, ღუაწლისა მძღენო, და ბრძოლანი მისნი ფიცხელნი, რამეთუ გაქუნდათ ღმრთისა მიერ უძღვეელი ძალი.

აწ წინაშე საყდართა გუნდსა თანა მოწამეთასა მდგომარენი ხართ, მარტვლნო, საესენი საღმრთოდთა სრულებითა გვრგვნთადთა და დაუცხრომელად მეოხ-ხართ ჩუენ ყოველთათვს.

**„დიდება“** - „მარადის უფლისა მვედრებელნო, აწ მომწყდართა თქუენთა თანა ევედრეთ ქრისტესა ღმერთსა, რადთა განაბნოს მტერნი ჩუენნი ურიცხვი და შეგვკრიბოს განბნეული ერი ქართველთა.“

**„აწ და“** - „შემეწიე მე, წმიდაო ღმრთისმშობელო, გემოვნებითა მიერ ჯორციელთა მარადის დანთქმულსა, რომელი ესე ვკუნესი მარადღე მდებარე ცხედარსა ზედა მოწყინებისასა.“

### გალობა 5, ღამითგანსა

**ძლისპირი:** რომელმან შეიმოსე ნათელი სამოსლად, შენდა მოვილტი, შენ გიღაღადებ: განანათლე სული ჩემი დაბნელებული, ვითარცა ხარ მხოლოდ, მრავალმოწყალე.

ვითარცა ვარსკულავენი ყოვლად ბრწყინვალენი აღმობრწყინდით თქვენ, ყოვლად ქებულნო, და უღმრთოებისა ბნელსა იოტებთ მორწმუნეთაგან და ვნებათა აღმურსა განაბნეგთ მადლითა.

ვითარცა ელვად მზისად და ბრწყინვალეობად მთოვარისად განანათლებს სოფელსა, ეგრეთვე განანათლეთ ეკლესიად ქრისტეს ღმრთისად ღუაწლთა თქუენთა სისხლითა, ვითარცა ძოწეულითა.

გამობრწყინდით ვითარცა მთიებნი სოფელსა შინა, ყოვლად დიდებულნო მოწამენო, და განაქარვეთ თქვენ სიბნელწ იგი საცთურისა. ამისთჳს აწ განდიდნა სახელი წამებისა თქუენისა.

**„დიდება“** - გამოჩნდით ბრწყინვალე მნათობად, რიცხვით ათნო ბევრნო მოწამენო, და განანათლებთ საღმრთოდთა შარავანდედთა მიერ, რომელნი სარწმუნოებით გიღაღადებენ: ევედრეთ ჩუენთჳს ქრისტესა მეუფესა.

**„აწ და“** - რომელსა იგი ვერ მისწვდების გონებად, ჯორცნი შეიმოსნა, ღმრთივმიმადლებულო, და შენ სამკჳდრებელად თჳსად შეგიწყნარა და იჳსნა კაცნი.

### გალობა 6, ღაღადყავსა

**ძლისპირი:** „გარე-მომიცვეს ღელვათა, და მექმნა საფლავ მუცელი ვეშაპისად, და გიღაღადებ: მიტსენ მე, კაცთმოყუარე, და მაცხოვრე მე, მრავალმოწყალე უფალო.“

„აღსარებითა მართლითა შეიწყნარეთ შორის თქუენსა ქრისტე, ბრძენნო, და სისხლი თქუენი შერთეთ სისხლთა თანა მარტჯლთასა და მათ თანა მიიღეთ გჳრგჳნი იგი დიდებისა.“

„დაკლვითა და სისხლითა მოიპოვეთ მადლი სულიერი, მოწამენო, დღეს ჳსენებასა თქუენსა ვიხარებთ და ვაქებთ დამბადებულსა, რომელმანცა მოგცნა მადლნი ეგე ვითარნი, შემწენო ჩუენნო.“

„მართლმადიდებლობისა სუეტნო მტკიცენო, შებრკოლებული ესე და ქუეყანად დაკუეთებული აღმადგინეთ, რადთა ვპოო შეცოდებათა ჩემთა შენდობად.“

**„დიდება“** - აწ ზეცით გარდამო წყალობითა მოგუხედეთ, მრავალმოღუაწენო, მკედრებელთა თქუენტა, და გჳსენით სენტა და საღმობათაგან. და ვნებათა ჭირთა და განსაცდელთა.

**„აწ და“** - გულსა შენსა განვლო მახვლმან, იხილე-რად ჯუარსა ზედა ძწ შენი, უბიწოო ქალწულო, და საღმრთოდ გუერდი მისი ღახურისა მიერ მოწყლული და გოდებდ სიმწარით.

– შემდგომად **„ღაღადყავსა“** (VI გალობისა): - **კონდაკი** წმიდისა - „დიდებულნო მოწამენო ათნო-ბევრნო, ნეტარ არს მიწად იგი, რომელი განიპოსა სისხლითა თქუენითა, და წმიდა არს წყალი იგი დიდისა მის მდინარისა მტკუარისად, რომელი იქცა სამო-სეღ და საფლავ თქუენდა, ვინადცა ამპარტავნებად ჯალაღედინისად დაამხუეთ და თავნი თჳსნი შესწირეთ ქრისტესა ღმერთსა, მას, ვითარცა სახიერსა, ეკედრენით შეწყალებად სულთა ჩუენტა.“ (გმა 4)

### გალობად 7, კურთხეულარსა

**ძღისპირი:** „უფროდსად ამალღებულმან ღმერთმან მამათა ჩუენტამან საჯუმილი მოტყინარწ ყრმათა მათ განუქარვა და იგინი ღაღადებდეს: ღმერთო, შენ კურთხეულ ხარ.“

„არა უარყავით თქუენ შემოქმედი და არცა უმადლო ექმენით ქუელისმოქმედებასა მისსა, არამედ დასდეთ სასოებად ღმრთისა მიმართ და ღაღად-ყავთ: „ღმერთო, შენ კურთხეულ ხარ.“

„მტკიცენი და ყოვლად ბრწყინვაღენი გუნდნი ათთა ბევრთა მოწამეთანი, სამსჯავროსა მას უღმრთოთასა ღაღადებდეს: „ღმერთო, შენ კურთხეულ ხარ.“

„მწყობრი მოწამეთა, მღღელთმთავართა და მღღელთა, წმიდათა მამათა და დედათა, ბრწყინვალწ კრებული მადლობით ღაღადებდით: „ღმერთო, შენ კურთხეულ ხარ.“

**„დიდება“** - „ახოვნებითა ღუაწლთა მათ თქუენტადთა და აღსარებითა ქრისტწს ღმრთისადთა, ნეტარნო, უჩუენეთ ყოველთა უძღეველი სიმწწწ თქუენი და ჳმა-ყავთ: „ღმერთო, შენ კურთხეულ ხარ.“

**„აწ და“** - „აღმოგზბრწყინდა ჩუენ შენ მიერ მზწ იგი დაუღამებელი, ღრუბელო ბრწყინვაღელო, ქრისტე ღმერთი ჩუენი, განმანათლებელი უმეცრებისა ბნელსა შინა მყოფთა, ღმრთისმშობელო.“

### გალობად 8, აკურთხევედითსა

**ძლისპირი:** „შენ, მხოლოსა, დამბადებელსა ყოველთასა გალობად სულიერი გილადადეს ყრმათა: ყოველნი საქმენი უფალსა უგალობდით და ამაღლებდით მას უკუნისამდე.“

„რაჟამს მტარვალთა მათ აღიმადლნეს მარჯუენენი მათნი, რადთა ძლიერად უხეთქონ ქედთა თქუენთა, მაშინ თქუენცა აღმოსთქვით: „აღგამაღლებთ შენ, ღმერთო, უკუნისამდე.“

„მეოხ-გუეყენით ჩუენ მარადის უფლისა მიმართ, მარტვლნო, რამეთუ თქუენ ხართ შემწენი ყოველთა მორწმუნეთა, რომელნი აკურთხევენ ქრისტესა და ამაღლებენ მას უკუნისამდე.“

„რომელთა ეშმაკთა სძლეთ და მძლავრსა არცხვინეთ, აწ მოგუმაღლეთ ჩუენცა გულისა შემეუსრვილებად, რადთა მარადის ჳმა-ვჳყოფდეთ: „აღგამაღლებთ შენ, ღმერთო, უკუნისამდე.“

**„დიდება“** - „აწ ითხოვეთ მჳსნეღისაგან ღმობიერებით ჳსნად ერისა ჩუენისად ყოველისაგან ჳირისა, ვედრებითა თქუენითა და უფალსა შეწირეთ გალობად ჩუენი: „აღგამაღლებთ შენ, ღმერთო, უკუნისამდე.“

**„აწ და“** - „შენ მიერ ჩუენთჳს ჳორცშემოსილმან ღმერთმან, შენ, წმიდად და ყოვლად უბიწოდ, ყოველისა ნათესავისა ჩუენისა საღმრთო შუამდგომელ გამოგახინა, ქალწულო, ამისთჳს მორწმუნენი ჳმამაღლად გიგალობთ შენ.“

– შემდგომად **“აკურთხევდითსა”(VIII გალობისა) – ოგალობება “უპატოსნესსა”.**

## გალობა 9, აღიდებდითსა

**ძლისპირი:** „ესადა, მხიარულ-იყავ, ქალწულმან მუცლად-იღო, და შვა ძჳ დაუსაბამოდ ევმანუელ, ღმერთი და კაცი, აღმოსავალ სახელი მისი. მას ვადიდებდეთ, და რომელმან შვა იგი, ვნატრიდეთ.“

„უმაგალითო ვნებად აჩუენეთ მიბაძვითა ქრისტესითა, რამეთუ ჩწვილნიცა უჳასაკონი და დედანი უძღურნი მწნე იქნებოდით და დამვიწყებელ ბუნებათა, ამისთჳს მმადლობელითა გუელითა შეგასხამთ ქებასა.“

„აწ განჳსენით ცოდვათა საკრველნი მგალობელთა ამათ თქუენთანი, ღუაწლით შემოსილნო მოწამენო, და დააცხრუეთ დელვანი იგი ვნებათანი, და აღმური წუალეებისა, მეოხებითა თქუენითა.“

„რომელნი სისხლითა მარტვრობისადათა ბრწყინავთ სამყაროსა ზედა, გჳჳსენით ჩუენ ყოველისაგან ჳირისა, მოწამენო, და შეგვზღუდეთ, უძღვევენო, ღირსად შემოკრებულნი ყოველნი.“

**„დიდება“** - „გუნდი უბიწოდ, მჳედრობად საღმრთოდ, მწყობრი რჩეული, ბანაკი წმიდად, სპარაზენობად ძლიერი, სიმრავლჳ სამგზის სანატრელი გევედრების ჩუენთჳს, ქრისტე ღმერთო, მათ მიერ მოგვეც ცოდვათა შენდობად.“

**„აწ და“** - „შენ სასანთლედ ბრწყინვალედ წინადაწარმეტყუელმან წინადთ გიხილა, ყოვლადუბიწო, მქონებელი ქრისტეს, გონიერისა მის სანთლისა, რომლისა მიერ განგნათლდით ჩუენ სიბნელესა შინა ვნებათასა მდებარენი, ამისთვის გნატრით შენ, ღმრთისმშობელო, მარადის ქალწულო“

- **შემდგომად „დიდებდითსა“ (IX გალობისა): - „ღირს არსი“ - არ იგალობება**

- **„განმანათლებელი“:** - „ეკლესიისა შეურყეველნო გოდოლნო და მართლმადიდებლობისა სუეტნო საღმრთონო, ქრისტეს სარწმუნოებისათვის წამებულნო, ათნო ბევრნო მოწამენო, ყოვლად უძლეველნო, გვრგვინოსანმოყოფელსა თქუენსა იესუს ევედრენით, რადთა მოგუანიჭოს მგალობელთა თქუენტა მშვდობად და პატივისმცემელთა თქუენტა დიდი წყალობად.“

**„დიდება“** - „რომელთა მეორედ მიიღეთ ნათლისხლება სისხლითა თქუენითა, და განსწმიდეთ სულნი თქუენნი, მოწამენო, აჰა, ქართლოსიანნი გევედრებით: ოხად ჩუენი შესწირეთ მცხნელისა მიმართ და გვთხოვეთ, შეჰმუსროს მტერნი ჩუენნი ურიცხუნი, შურითა მკულელებრითა შეჭმულნი, და დაამხოს უკეთურებითა და ზაკუვით მოსრულნი ბოროტნი თანამზრახველნი მათნი, აღსპობისა ჩუენისა მსურველნი.“

